პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 103 (7664)

30 მაისი ოთხშაბათი, 1984 წ.

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერში:

დაუცხრომელ შრომას, მოითხოვს (მე-2 გვ.)

მისი თაობის კერპი გიორგი ნიკოლაძე იყო (მე-2 გვ.)

თავადას საფარიკაო ბილიკზე „ტრიალებს" (მე-3 გვ.)

პოლიცია საგონებელში ჩააგდეს (მე-4 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მომთხოვნი ნდობა

ლენინური კომკავშირის ისტორიაში კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა: საბჭოთა არმიის კომკავშირი წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა. 28 მაისს კრემლის დიდ სასახლეში გამართულ კომკავშირულ ორგანიზაციათა მდივნების სრულიად საარმიო თათბირზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ სამშობლოს ეს ჯილდო საზეიმო ვითარებაში მიამაგრა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის კომკავშირული ორგანიზაციის დროშას.

არმიის კომკავშირის წვლილის დაფასება ნათელი დასტურია იმისა, თუ რაოდენ დიდია პარტიისა და მთავრობის ზრუნვა ახალგაზრდობისადმი, მაღალი შეფასებაა იმ მუშაობისა, რასაც კომკავშირი ეწევა ახალგაზრდა თაობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის.

წინა თაობათა მიერ ფუძეჩაყრილი ტრადიციებისადმი მეომარ-კომკავშირელთა ერთგულებაზე რომ ლაპარაკობდა, ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენს მეომრებს დღეს გაცილებით რთული ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი. „თანამედროვე მხედრული სამსახური, — თქვა მან, რა თქმა უნდა, არ არის ადვილი საქმე. იგი მოითხოვს დაუცხრომელ შრომას, სისტემატურ წვრთნას, ნებისყოფის წრთობას, ფსიქოლოგიურ გამძლეობასა და მუდმივ შინაგან დისციპლინას".

როგორც ხედავთ, ამოცანა მეტად სერიოზული და კომპლექსურია. მაგრამ არის ერთი საერთო კომპონენტი, რომელიც თითოეულ მოთხოვნასთანაა წილნაყარი — ესაა ახალგაზრდა მეომართა ფიზიკური წრთობა, ურომლისოდაც ძნელი წარმოსადგენია მტკიცე ნებისყოფა, ფსიქოლოგიური გამძლეობა და შინაგანი დისციპლინა. ეს კი მხოლოდ არმიის კომკავშირის საზრუნავი როდია. ამასთან დაკავშირებით ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ თათბირზე თქვა: „მინდა მეტი ინიციატივა და შემოქმედება ვუსურვო კომკავშირს ისეთი პრობლემების გადაჭრაშიც, რომლებზეც იგი მუდამ აქტიურად მუშაობდა. საქმე ეხება, მაგალითად, იმას, რომ გავაუმჯობესოთ ქალიშვილებისა და ჭაბუკების ზნეობრივ-ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდა..." მაგრამ ჩვენი პარტიის გენერალური მდივანი შეეხო იმ ნაკლოვანებებსაც, რაც ჯერ კიდევ შეიმჩნევა კომკავშირულ ორგანიზაციებში. რა დასამალია, „ფორმალიზმი, ქაღალდთმთხზველობა, ბიუროკრატიზმი" შეიმჩნევა ახალგაზრდებს შორის ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაშიც. თითქოს შევეჩვიეთ კიდეც, რომ მთავარია იხმაურო, სხვებს მოაჩვენო, თითქოს რაღაცას დიდსა და მნიშვნელოვანს აკეთებ. ამგვარმა დამოკიდებულებამ მინდობილი საქმისადმი დაღი დაასვა ჩვენს ფიზკულტურასა და სპორტს. „მიდრეკილება მრავალრიცხოვანი მოძრაობებისა და კამპანიებისადმი უცილობლად იწვევს ფორმალიზმს", — აღნიშნა თავის გამოსვლაში ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ. ცხადია, იმას არავინ მოითხოვს, რომ საერთოდ ავიღოთ ხელი მასობრივ ღონისძიებებზე, მაგრამ არ უნდა დავკარგოთ ზომიერების გრძნობა, პირიქით საჭიროცაა წავახალისოთ ისეთი მასობრივი კამპანიები, რომლებიც ნამდვილად დაგვეხმარება ახალგაზრდების ჰარმონიულად აღზრდის ამოცანების წარმატებით გადაჭრაში. მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვთქვათ მტკიცე უარი ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც მხოლოდ გარეგნული ეფექტისთვისაა გამიზნული.

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლაში დიდი რწმენაა გამოთქმული, რომ კომკავშირი უთუოდ შეძლებს კიდევ უფრო აამაღლოს თავისი ავტორიტეტი, რომ კომკავშირის გვერდით მუდამ იქნება პარტია, როგორც უფროსი მეგობარი და დამრიგებელი. „უფრო ხშირად უნდა ვიყოთ იქ, სადაც შრომობს, სწავლობს, ისვენებს ახალგაზრდობა. გულახდილად ვესაუბროთ მათ მტკივნეულ საკითხებზე" — აი, რა არის კომუნისტების უპირველესი მოვალეობა.

შეაფასა რა კომკავშირის აქტიური როლი ახალგაზრდების თანამედროვე მოთხოვნათა შესაფერისად აღზრდის საქმეში, ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ თავის გამოსვლაში მიუთითა, რომ „უფრო მეტად უნდა ვენდოთ კომკავშირს, მაგრამ ეს უნდა იყოს მომთხოვნი ნდობა". ამ სიტყვებში მკაფიოდ ჩანს პარტიის ზრუნვაც და ის დიდი მოვალეობაც, რაც ჩვენს კომკავშირს ეკისრება.





# ულიდერებოდ

თბილისში, ტანვარჯიშის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის დარბაზში ოთხ დღეს გაგრძელდა საქართველოს თასის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში. ასპარეზობაში, რომელიც მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო, რესპუბლიკის თითქმის ყველა უძლიერესი ტანმოვარჯიშე ჩხება. სტარტზე ვერ გამოვიდნენ მხოლოდ ჩვენი გუნდის ლიდერები ეკა ზეთურიძე, ლადო გოგოლაძე და ამირან ბერიანიძე (გოგოლაძე და ბერიანიძე ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრები არიან. ამჟამად ისინი ემზადებიან საბჭოთა კავშირისა და გდრ-ის გუნდების ამხანაგური მატჩისთვის, რომელიც, როგორც ცნობილია, 1-3 ივნისს გაიმართება თბილისში).

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ ახალგაზრდა სპორტსმენებმა (ზაზა ხომასურიძე, იური გასიშვილი, ემზარ ფუნთუშაშვილი, სტელა დავიდოვა, ნინო ქართველიშვილი, ხათუნა პაპინაშვილი...) ბოლო ხანს საგრძნობლად აიმაღლეს ოსტატობა. ახლა ისინი ტოლს არ უდებენ გამოცდილ ოსტატებს — პაველ ლეონტიევს, ალექსანდრე ხაჩატურიანს, გია სელიმაშვილს.

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, 22 წლის ლეონტიევმა („განთიადი") დაამტკიცა, რომ მასთან ბრძოლა არ არის ადვილი და ოსტატთა პროგრამით შეჯიბრებაში დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. მეორე იყო იური გასიშვილი (განათლების სამმართველო). ოსტატობის კანდიდატებში ტოლი არ ჰყავდა დინამოელ ემზარ ფუნთუშაშვილს.

გოგონათა შორის გაიმარჯვა დინამოელმა ირმა სირაძემ. მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან ხათუნა ლომიძე და მარინე ხუციშვილი („დინამო"). ოსტატობის კანდიდატებში პირველი იყო ირმა კილასონია.

განვლილმა ასპარეზობამ თვალნათლივ წარმოაჩინა როგორც ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა ზრდა, ისე მათი მზადების ნაკლოვანებები, რაც დროულად უნდა გამოსწორდეს.

ვანო შლამოვი.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ირმა სირაძე ასრულებს თავისუფალ ვარჯიშს; რგოლებზე ვარჯიშობს პაველ ლეონტიევი.

ავტორის ფოტოები.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ტრადიციული მრავალდღიანი ველორბოლა „მეგობრობა-84"

# დაწინაურდა რამაზ წაქაძე

საინტერესო იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების ტრადიციული მრავალდღიანი ველორბოლის მესამე ეტაპი: ქუთაისი — გორი. სურამის უღელტეხილის დამლევა სპორტსმენებს ძლიერ ქარსა და წვიმაში მოუხდათ. ამ უჩვეულო პირობებში სხვებზე უკეთ იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა — ხუთივე პირველი ადგილი მათ გაინაწილეს.

ფინიშთან პირველი იყო „კოლმეურნის" გუნდის წევრი რამაზ წაქაძე. მომდევნო ადგილები წილად ხვდათ გენადი გოდუნოვს, იური ზიმენკოვს (ორივე — საქართველოს „დინამო"), ჯონი ცივაძეს („კოლმეურნე") და ნუგზარ თევდორაძეს („სპარტაკი"). გამარჯვებულთა საშუალო სიჩქარე ამ ეტაპზე საათში 40 კილომეტრს აღემატებოდა.

ქუთაის-გორის მონაკვეთზე გუნდური პირველობა „კოლმეურნის" წარმომადგენლებმა მოიგეს — 11:35.24,0. მეორე შედეგი ჰქონდათ საქართველოს „დინამოს", მესამე — სომხეთის დინამოელებს.

საუკეთესო სამთო მრბოლელისათვის დაწესებული პრიზი გათამაშდა ტრასის ურთულეს მონაკვეთზე — სურამის უღელტეხილზე. აქაც სხვებზე უკეთესი შედეგი აჩვენა რამაზ წაქაძემ.

სამი ეტაპის შემდეგ ლიდერის მაისური იური ზიმენკოვმა დაიბრუნა — 9:18.14,0. მას 27 მეასედი წამით ჩამორჩებოდა ჯონი ცივაძე. რამაზ წაქაძე მესამე იყო — 9:19.36,0.

გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ „კოლმეურნეს" ველოსიპედისტები — 28:09.28,0. მეორე ადგილს ინარჩუნებს აზერბაიჯანის „მეხსული" — 28:14.22,0, მესამეს — საქართველოს „დინამო" — 28:17.26,0.

გუშინ მეოთხე ეტაპი (გორი-თბილისი) მოიგო რამაზ წაქაძემ — 1:45.29,0. II ადგილი დაიკავა კარაპეტ კარაგაშიანმა (სომხეთის — „დინამო") — 1:46,31,0, III — ვიაჩესლავ გოროხოვმა („მეხსული") — 1:46,32,0.

ამ გამარჯვებით რამაზ წაქაძემ ხელთ იგდო ლიდერობა. ოთხი ეტაპის შემდეგ მისი შედეგია 11:04.50,0. ლიდერს თითქმის 3 წუთით ჩამორჩება ვიაჩესლავ გოროხოვი. III ადგილზეა იური ზიმენკოვი.

ელვა-რეპორტაჟი.

გუნდურ წარმატებას ამ ეტაპზე სომხეთის „დინამოს" წარმომადგენლებმა მიაღწიეს. „კოლმეურნეს" მეორე შედეგი ჰქონდა. მაგრამ ამ სპორტსაზოგადოების ველოსიპედისტები ოთხი ეტაპის ჯამში კვლავ წინ არიან — 33:34.55,0 მეორე შედეგი აქვს „მეხსულს" — 33:40.52,0, მესამე — თბილისის არმიელთა კოლექტივს — 33:44.32,0.

მეხუთე ეტაპს (თბილისი — ლაგოდეხი) სტარტი დღეს მიეცა.

ანზორ პიპინაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.



ს უ რ ა თ ზ ე: რბოლის ერთპიროვნული ლიდერი რამაზ წაქაძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## გულშემატკივრის კუთხე

# „გვინდა ჭაბუკი დიდოსტატი!“



**ის, ვინც თბილისის ჭადრაკის სასახლეში ერთხელ მაინც დასწრებია რომელიმე დიდ შეჯიბრებას, უთუოდ მიაქცევდა ყურადღებას მაღალ, სიმპათიურ მამაკაცს, რომელიც ხუთი საათის განმავლობაში შეუნელებელი ინტერესით ადევნებს თვალს პარტიებს. რაც შეეხება გულშემატკივრებს, რომლებიც ამ სასახლეში „ალამებენ და ათენებენ“, მათ კარგად იციან: აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე შეჯიბრებებს უკვე ნახევარი საუკუნეა ესწრება! იგი, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, მოჭადრაკეთა დიდი მეგობარი გახლავთ.**

**დღეს, 30 მაისს, ვახტანგ ბერიძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. ჩვენ ვეწვიეთ მეცნიერს და რედაქციის სახელით ეს ღირსშესანიშნავი თარიღი მივულოცეთ.**

● **ბატონო ვახტანგ, თუ შეიძლება, ცოტა რამ გვითხარით თქვენი სპორტული გატაცებების შესახებ.**

— ჩემი თაობის ნამდვილი კერპი გიორგი ნიკოლაძე გახლდათ. ამით აიხსნებოდა ჩვენი ახალგაზრდების დიდი გატაცება ალპინიზმით, რომელიც 30-იან წლებში რესპუბლიკისათვის პირდაპირ საპრესტიჟო სპორტი იყო. მე ხშირად დავდიოდი სვანეთში. ყველა დიდი სიყვარულით იხსენიებდა მთამსვლელსა და ცნობილ ექიმ-ენდოკრინოლოგს სოსო ასლანიშვილს, რომელმაც სვანეთი იქ ოდითგანვე გავრცელებულ ავადმყოფობას — ჩიყვს გადაარჩინა.

მეორე გატაცება ტანვარჯიში იყო. ახლა ჩვენი ტანმოვარჯიშეების წარმატებას მეტწილად ეპიზოდური ხასიათი აქვს, ომამდე კი დიდი ოსტატები გვყავდა: რცხილაძე, ჯორჯაძე, ბაბილოძე. როცა ქართველი ტანმოვარჯიშე რომელიმე დიდ შეჯიბრებაში გაიმარჯვებდა, არავის უკვირდა — ეს ასეც უნდა ყოფილიყო! ერთი სიტყვით, გასაგები იყო გიორგი ეგნატაშვილის არაჩვეულებრივი პოპულარობა. ახალგაზრდები მისი ნაცნობობით ამაყობდნენ, ქუჩაში ყველა ულიმოდა, სიყვარულით თავს ევლებოდნენ.

ახლა ტურიზმი დიდად პოპულარულია. ადრე, შესაძლოა, მას ესოდენ ორგანიზებული ხასიათი არა ჰქონდა. რაც შემეხება მე, ჩემი თავი ამ სფეროს ენთუზიასტად მიმაჩნია — საქართველოს რომელ კუთხეში არ ვყოფილვარ (და თანაც რამდენჯერ!) სხვადასხვა ექსპედიციაში. მთელი საქართველო ფეხით მაქვს მოვლილი. ტურიზმი უდავოდ დიდ სიმხნევეს იძლევა.

● **და მაინც თქვენი სიყვარული ჭადრაკისადმი სულ სხვა არის, არა?**

— დიახ, ასეა. მე დიდად ვამაყობ, რომ დღეს თბილისი ჭადრაკის სამყაროს ერთ-ერთი აღიარებული ცენტრია. როცა რომელიმე უცხოელ მოჭადრაკეს თბილისის ტურნირზე იწვევენ, ეს მისთვის პრესტიჟის ამბავია, ეს ნიშნავს, რომ მან დიდი პატივი დაიმსახურა.

ჭადრაკი ბავშვობაშივე ვისწავლე და უნდა გითხრათ, რომ თამაშის პროცესი უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას მანიჭებს. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ წაგებას თუ მოგებას ჩემთვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, მთავარია თვით თამაშის მიმდინარეობა, კომბინაციები... ამდენად, ჩემთვის დღემდე გაუგებარი რჩება, რატომ არის, რომ ზოგ მოჭადრაკეს მეტისმეტად წყინს დამარცხება.

ჭადრაკი ჩემზე ყოველთვის კეთილად მოქმედებდა. რაიმე ცხოვრებისეული უსიამოვნების ჟამს იგი მამშვიდებდა, გადაღლილს ენერგიას მიბრუნებდა, ავადმყოფობის დროსაც კი გარკვეულ სტიმულს მაძლევდა. დიახ, ჭადრაკი, თავისი უდიდესი ემოციური ზეგავლენით, ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

● **როდიდან იწყება თქვენი, ასე ვთქვათ, „პროფესიული გულშემატკივრობა“?**

— ოციანი წლების დასასრულიდან. მახსოვს იმდროინდელი ცნობილი მოჭადრაკეები სმოროდსკი, ტალვიკი, კასპარიანი, რა დამავიწყებს ვიქტორ გოგლიძის მატჩებს ცნობილ ოსტატებთან გრიგორიევთან და ნენაროკოვთან. ახლა ძნელი წარმოსადგენია, რომ ვინმეს იმდენი ქომაგი ჰყავდეს, რამდენიც ვიქტორ გოგლიძეს ჰყავდა. ძნელი წარმოსადგენია იმიტომ, რომ ჩვენმა სახელოვანმა მოჭადრაკე ქალებმა ასეთი აზრი დაამკვიდრეს: მათ უნდა გაიმარჯვონ, ეს ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, რასაც ყველა განსაკუთრებული ემოციების გარეშე აღიქვამს. მაშინ კი გოგლიძე მარტო იყო და თანაც საერთაშორისო ჭადრაკის კორიფეებს ეჭიდებოდა! მარტო ემანუილ ლასკერისა და ხოსე რაულ კაპაბლანკას ხსენება რად ღირს! მახსოვს, როგორ ააფორიაქა თბილისი ცნობილი ავსტრიელი ოსტატის ჰანს კმოხის ჩამოსვლამ. შეიძლება თქვან — ის ხომ ჭადრაკის კორიფე არ იყოო. დიახ, არ იყო, მაგრამ კმოხს ჭადრაკის სამყაროში გარკვეული ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული და მისმა ძლევამ გოგლიძეს უდავოდ გაუთქვა სახელი. ჩვენ აღტაცებული ვიყავით; როცა გოგლიძემ კარგად წარმართა მოსკოვის მეორე საერთაშორისო ტურნირი, სადაც ყველა დიდი მოჭადრაკე გამოდიოდა ალექსანდრე ალიოხინის გარდა. რაც შეეხება გოგლიძის ყაიმს ლეგენდად ქცეულ კუბელ კაპაბლანკასთან, ამით ხომ მთელი საქართველო ამაყობდა. ამას უნდა დავუმატოთ გოგლიძის წარმატება საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც თბილისში ჩატარდა და არაჩვეულებრივი ინტერესი გამოიწვია. მაშინ, როგორც მოგეხსენებათ, გრიგოლ ლევენფიშმა გაიმარჯვა.

მე ყურადღებით ვადევნებდი თვალს ჩვენი ცნობილი ოსტატის არჩილ ებრალიძის თამაშსაც. ნიჭი უდავოდ დიდი ჰქონდა. გარდა ამისა, ებრალიძემ დიდი სამსახური გაუწია ქართველ მოჭადრაკეთა არაერთ თაობას, როცა ლასკერის, კაპაბლანკასა და ეივეს შესანიშნავი სახელმძღვანელოები თარგმნა. გაუგებარია, რატომ არ ითარგმნება ქართულ ენაზე წიგნები, რომლებიც საჭადრაკო კლასიკას მიეკუთვნება?

● **თქვენ, ალბათ, ბევრი საჭადრაკო წიგნი გაქვთ და თვალყურს ადევნებთ საჭადრაკო ლიტერატურის სიახლეებს.**

— როგორ გითხრათ. ძალიან მიყვარს გარკვეული დარგის საჭადრაკო ლიტერატურის კითხვა, დიდი მოჭადრაკეების ბიოგრაფიების გაცნობა, კომბინაციების ამოხსნა. სხვადასხვა სადებიუტო მონოგრაფიებისა და ენდშპილის გამოკვლევათა დაუფლება უფრო პროფესიონალი მოჭადრაკეების საქმეა. ჯერ კიდევ ყმაწვილი ვიყავი, როდესაც დიდი ინტერესით წავიკითხე მიხეილ საყვარელიძის წიგნი ჭადრაკზე. ამ წიგნიდან ბევრი მაგალითიც ამოვხსენი. ერთ-ერთმა ჩემმა ამხანაგმა სადღაც იშოვა ანდრია დადიანის პარტიების დაბოლოებათა კრებული, რომელიც ცნობილმა რუსმა ოსტატმა შიფერსმა კიევში ფრანგულ ენაზე გამოსცა. რა პოეზია, რამდენი სილამაზე იყო ამ პარტიებში!

სასურველია ბავშვებს შევთავაზოთ პოპულარულ ენაზე დაწერილი წიგნები ჭადრაკის კორიფეების შესახებ, კომბინაციების კრებული, თუ გნებავთ, საინტერესო თავგადასავლებიც. ხომ გახსოვთ, რა პოპულარული იყო პერელმანის წიგნი „სახალისო ფიზიკა“. დაე ბავშვი მარტო დარჩეს „სახალისო ჭადრაკთანაც“. იგი რაც შეიძლება მეტად უნდა დავაინტერესოთ, რადგან ჭადრაკისაგან განუზომელ სარგებლობას მიიღებს. ოდესღაც, ახალგაზრდობაში, ჰოლანდიელი მეცნიერის ლანდაუს ასეთ მოსაზრებას გავეცანი: „ჭადრაკი ნარკოზის მსგავსი რამ არის, მცირე დოზით — დიდად სასარგებლო, დიდი დოზით — არასასურველი“. ამ აზრს ახლა არავინ გაიზიარებს — ჭადრაკი მხოლოდ და მხოლოდ სასარგებლო გახლავთ.

წიგნებზე ვილაპარაკე და აქვე მინდა ვთქვა, რომ ძალიან სასარგებლო იქნება ქართულ ენაზე გვქონდეს ჭადრაკის პერიოდული გამოცემა: გაზეთი ან ჟურნალი. ჩემთვის ცნობილია, რომ ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა.

● **ამას წინათ თბილისში დამთავრდა ქალთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. რას იტყვით მის შესახებ?**

— მიმომხილველები მართალი ბრძანდებიან — ასეთი ძლიერი შეჯიბრება ჭადრაკის ისტორიაში არ ჩატარებულა. განსაკუთრებით სასიამოვნო კი ჩემთვის ის იყო, რომ ქართველმა მოჭადრაკეებმა მართლაც დიდი ნებისყოფა გამოავლინეს — ცუდად დაიწყეს, მაგრამ ბრწყინვალედ დაამთავრეს. პარტიების ხარისხიც სწორედ ისეთი იყო, ამ დონის შეჯიბრებას რომ ეკადრებოდა.

რახან ესოდენ ბრწყინვალე შეჯიბრება ჩავატარეთ, არ შემიძლია ერთი სურვილიც არ გამოვთქვა: ასეთი ტურნირები ყოველწლიურად უნდა მოეწყოს. მსოფლიოს ყველა ქალაქზე უფრო იგი სწორედ თბილისს შეეფერება — აქ ცხოვრობენ თანამედროვეობის უძლიერესი მოჭადრაკეები. ამავე დროს, ერთსაც ვფიქრობ: შეიძლება უახლოეს ხანებში ისე მოხდეს, ჩვენს მოჭადრაკე ქალებს აღარ ექნეთ ისეთი სრული ჰეგემონია, როგორიც დღეს აქვთ. ამისი აშკარა სიმპტომები უკვე არსებობს. აიღეთ თუნდაც პია კრამლინგი. მისი მეექვსე ადგილი თბილისში სპორტული თვალსაზრისით დიდი წარმატება არ არის, მაგრამ სპეციალისტებს არ გამოჰპარვიათ შვედის მაღალი კლასი. ხომ ფაქტია, რომ კრამლინგი ზოგჯერ დიდოსტატ ვაჟებსაც უგებს. შემთხვევით ცალკეული პარტიების წაგება შეიძლება, მაგრამ ასეთ მთლიან პარტიებს შემთხვევით არ იგებენ. ამას ოსტატობა სჭირდება, რაც შვედ მოჭადრაკეს აქვს. ანდა, ავიღოთ თხუთმეტი წლის უნგრელი გოგონას ჟუჟა პოლგარის წარმატებები. წელიწადში ოთხჯერ თუ ხუთჯერ იგი ოსტატ ვაჟებს ხვდება ჭადრაკის დაფასთან და კარგი შედეგებიც აქვს. ასე რომ, დღეს თუ ხვალ, კრამლინგის გარდა, მეორე მეტოქეც გაგვიჩნდება.

უახლოეს ხანებში მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლა მეტად გამწვავდება. ამას ხელს შეუწყობს ჩვეული სამწლიანი შესარჩევი ციკლის ორწლიანით შეცვლა, თავისთავად არასასურველი, მომქანცველი, მაგრამ უკვე დაკანონებული. ის, რომ ქართველი ქალები ამდენი ხანია მსოფლიოს ჩემპიონები არიან, ჩვენი ეროვნული კულტურის დიდი მიღწევაა. ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ ამ მიღწევების შესანარჩუნებლად.

● **გავა სულ სამი თვე და ჭადრაკის სამყარო ისევ აფორიაქდება...**

— მე ჭადრაკის მიმომხილველი არა ვარ, მაგრამ თუ თქვენთვის საინტერესოა გულშემატკივრის აზრს მოგახსენებთ. მას შემდეგ, რაც ფიშერი ჭადრაკს განუდგა, ერთხანს „ზედა ფენებში“ გარკვეული წონასწორობა იყო. შემდეგ დადგა დრო, როცა კარპოვს ღირსეული მოწინააღმდეგე არ ჰყავდა. ახლა კი ასეთი მეტოქე გამოჩნდა! დიახ, კარპოვმა და კასპაროვმა გარკვეული „სუპერკლასი“ შექმნეს, იმდენად გამოკვეთილი, რომ დღეს ვერავინ გეტყვით, ვინ არის, ვთქვათ, სიძლიერით მესამე მოჭადრაკე მსოფლიოში. ასეთ პირობებში კარპოვ—კასპაროვის მატჩი ძლიერ სასურველიცაა და ძლიერ საინტერესოც. ავიღოთ თუნდაც წლევანდელი სეზონი: ერთიცა და მეორეც დიდი უპირატესობით იგებს ყველა შეჯიბრებას, სადაც კი თამაშობს. კარპოვი პირველი იყო ნორვეგიაში, პირველი იყო ლონდონშიც. კასპაროვმა მოიგო პრეტენდენტთა ყველა შესარჩევი მატჩი. ერთიც ახალგაზრდაა და მეორეც. ვის უნდა მიეკუთვნოს უპირატესობა?! ვინ იცის!

ვის ჰქონია ისეთი თანაბარი შედეგები, როგორიც კარპოვს აქვს? მეორე მხრივ, არ შეიძლება სიამოვნება არ განიცადო, როცა ესოდენ დიდი ნიჭის აფეთქებას გრძნობ — კასპაროვმა ხომ უკვე ყველა მოხიბლა. საქმე მარტო სპორტული შედეგები არ არის — კარპოვისა და კასპაროვის პარტიებს მაღალი ხელოვნების ბეჭედი აზის.

უდავოდ დიდად საინტერესო იქნება ჩიბურდანიძე — ლევიტინას მატჩიც. ისეთი ხალასი ნიჭის მოჭადრაკე, როგორიც ჩიბურდანიძეა, ამავე დროს აუღელვებლობითა და იშვიათი სპორტული ღირსებებითაც გამოირჩევა. უნდა ვიფიქროთ, იგი შეინარჩუნებს თავის წოდებას, თუმცა ლევიტინა უდავოდ სახიფათო მეტოქე გახლავთ. მე მახსოვს მისი ადრინდელი გამოსვლები თბილისში, დიდი წარმატებები საკავშირო პირველობებზე.

● **რას უსურვებდით ქართულ ჭადრაკს?**

— ჩვენ გვინდა გვყავდეს ჭაბუკი დიდოსტატი, რომელიც შეძლებს ღირსეული მეტოქეობა გაუწიოს თანამედროვე კორიფეებს. ხომ დიდად სასიამოვნოა, როცა ქართველი მოჭადრაკე ქალები მთელ მსოფლიოში მოგზაურობენ და გამარჯვებას გამარჯვებაზე იხვეჭენ! მაშ ვისურვოთ ასეთივე ჭაბუკის დაწინაურება, რათა რაც შეიძლება მალე მივულოცოთ მას ღირსეული წარმატებები.

საუბარი ჩაიწერა
**გივი გამრეკელმა.**

## ინფორმაცია

### ჩემპიონის ახალი გამარჯვება

**იაპონიის** დედაქალაქ ტოკიოში დამთავრდა მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატთა საერთაშორისო ტურნირი. კვლავ ისახელა თავი მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა, სოფიელმა სტუდენტმა, 19 წლის დილიანა გეორგიევამ, რომელმაც მრავალჭიდში 39,10 ქულა დააგროვა. საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა ასევე ბულგარეთის წარმომადგენელი ლილი იგნატოვა — 38,25 (მრავალჭიდში შეჯიბრების დროს მან წარუმატებლად შეასრულა კომპოზიცია ბურთით — 9,20). მესამე ადგილზეა იაპონელი ერიკა აკიიამა — 38,05.

ტურნირის ბოლო დღეს ბადალი არ ჰყავდა გეორგიევას, რომელიც პირველი იყო ყველა სახეობაში: სალტით და გურზებით ვარჯიშში მისი შედეგია 19,55, ბურთით და ლენტით — 19,75.

სარბიელზე გამოდიოდა 12 ქვეყნის 18 ტანმოვარჯიშე. საბჭოთა სპორტსმენები ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ.

### უძლიერესთა მონაწილეობით

**რიგაში** დაიწყო ფრენბურთელ ქალთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ იაპონიის, ჩინეთის, აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები. პირველ დღეს იაპონელებმა მოუგეს საბჭოთა გუნდს — 3:1, ხოლო მსოფლიო ჩემპიონებმა, ჩინელმა ფრენბურთელებმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს აშშ-ის ნაკრები.

—საბჭოთა გუნდი თავდასხმაში მეტად ძლიერად, მაგრამ ცოტა ერთფეროვნად თამაშობდა. მას გამარჯვებაში ხელი შეუშალა მხოლოდ ბურთის მიღებისას დაშვებულმა ტექნიკურმა შეცდომებმა. თუმცა შეხვედრა მოვიგეთ, უნდა ვაღიარო, რომ შურით ვადევნებდი თვალს ჩვენი მეტოქე საბჭოთა ფრენბურთელების თამაშს, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს იაპონელთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სიგეო იამადამ. — ძალიან პერსპექტიული ნაკრები გყავთ. დიდად სამწუხაროა, რომ იგი იძულებულია უარი თქვას მომავალ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე.

შეჯიბრება რიგაში 30 მაისამდე გასტანს. შემდეგ გუნდები ლენინგრადში გააგრძელებენ ასპარეზობას.

### მშვილდოსანთა „მარათონი“ დამთავრდა

**კრილატსკოეს** ოლიმპიურ სასროლეთზე დამთავრდა მშვილდოსანთა XV საერთაშორისო ტურნირი „გაზაფხულის ისრები“. ოთხი დღის მანძილზე ასპარეზობდა 15 ქვეყნის ასზე მეტი საუკეთესო მშვილდოსანი.

ამ მეტად პოპულარული შეჯიბრების რეკორდი დაამყარეს ფინელმა სპორტსმენმა, მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა ტომი პოიკოლაინენმა და საბჭოთა მშვილდოსანმა, მსოფლიო რეკორდსმენმა ლუდმილა არჟანიკოვამ (ნოვაია კახოვკა). პოიკოლაინენმა 90, 70, 50 და 30 მეტრზე 2570 ქულა დააგროვა, ხოლო არჟანიკოვამ 70,60, 50 და 30 მეტრზე — 2589.

ქალთა შეჯიბრებაში მეორე და მესამე ადგილებზე გასული ჩებოქსარელი ირინა სოლდატოვა და ჩიტელი ხანდა-ცირენ გამბოჟაპოვა გამარჯვებულს შესაბამისად 33 და 56 ქულით ჩამორჩნენ. ვაჟთა ასპარეზობაში პოიკოლაინენი და ჩიტელი ვლადიმერ ეშეევი თითქმის უკანასკნელ ისრამდე შეუპოვრად იბრძოდნენ. ევროპის ჩემპიონმა ოლიმპიურ ჩემპიონთან სულ 8 ქულა წააგო. III ადგილი ხვდა ჩიტელ მუნკო დაშიცირენოვს — 2534.

### სხვაობა ათი წამია

**ინგლისის** გზებზე მიმდინარე საერთაშორისო ველორბოლის პირველი ეტაპი (171 კმ) მოიგო მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელმა მალკოლმ ელიოტმა, რომელსაც გამარჯვება მოუტანა უსწრაფესმა სპურტმა უკანასკნელ მეტრებზე. მას კვალში მიჰყვებოდნენ მსოფლიო ჩემპიონი, ხარკოველი ალექსანდრე ზინოვიევი და იოზეფ პერნი (ჩეხოსლოვაკია). რამდენადაც ეს სამნი ერთ დიდ ჯგუფად მივიდნენ ფინიშთან, სამივეს დროა 4.24,55. პრიზიორებმა მიიღეს ბონიფიკაცია — შესაბამისად 30, 20 და 10 წამი.

რბოლას ლიდერობს ელიოტი. საერთო ჩათვლაში შემდეგ ადგილებზე არიან ზინოვიევი (იგი ლიდერთან 13 წამს აგებს), ოლეგ ჩუჟდა (როვნო) და პოლონელი ლეხ პიასეცკი (27-27).

გუნდურ ასპარეზობაში დაწინაურდა ინგლისის ნაკრები. მას 10 წამით ჩამორჩებიან საბჭოთა ველოსიპედისტები.

რბოლაში მონაწილეობენ ევროპის ცხრა ქვეყნის სპორტსმენები. ასპარეზობის მასპინძლებს ოთხი გუნდი გამოჰყავთ.

# ტრადიცია თავისას ითხოვს



**სპორტის ამა თუ იმ სახეობის დღევანდელი მდგომარეობის რეალურ სურათს ვერ დახატავ, თუ მისი ისტორია, თაობათა მიერ შექმნილი და დამკვიდრებული ტრადიცია არ გაითვალისწინე. აწმყო წარსულთან მიმართებაში ცნაურდება. დღევანდელი ვითარების ავკარგიანობის შეფასებისას ობიექტური კაცი უთუოდ გაიხსენებს, რანი ვიყავით გუშინ, გუშინწინ. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია მრავალი სხვა ფაქტორიც, მაგალითად ის, რომ სპორტულ სამყაროში, თუნდაც უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე, ბევრი რამ შეიცვალა; მოთხოვნები სულ უფრო იზრდება, კონკურენცია მწვავდება, შესაბამისად, ძნელი ხდება პოზიციების შენარჩუნება. დიახ, სპორტს თავისი კანონები აქვს, დიდ გამარჯვებებს ხშირად მარცხი ენაცვლება ხოლმე, მაგრამ...**

**— ორმოცდაათიან და სამოციან წლებში ფარიკაობის ქართულმა სკოლამ ისეთ სიმაღლეს მიაღწია, რომ ამ ფონზე საგრძნობლად უფერულდება დღევანდელი ჩვენი მიღწევები. რასაკვირველია, არც იმის თქმა იქნებოდა სწორი, თითქოს ქართველ მუშკეტერებს ბოლო ხანს არაფრით გამოეჩინოთ თავი. ცალკეული წარმატებები გვქონდა — საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე, მსოფლიო ჩემპიონატზეც, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მთლიანად ქართული ფარიკაობა გვარიანად ჩამორჩა. ამაზე მეტყველებს საკავშირო პირველობების, განსაკუთრებით კომპლექსურ შეჯიბრებათა (საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა) შედეგები.**

**ინტერვიუში, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, სწორედ ფარიკაობის ქართული სკოლის პრობლემებსა და პერსპექტივებზე იქნება საუბარი. მანამდე კი გაგაცნობთ სტატისტიკურ მონაცემებს: დღეისათვის საქართველოში ფარიკაობის ჯგუფებსა და სექციებში 2100-მდე სპორტსმენია გაერთიანებული. მუშაობს 70-მდე მწვრთნელი. თბილისსა და ქუთაისში გახსნილია ფარიკაობის ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სპორტული სკოლები. თბილისში არსებობს უმაღლესი ოსტატობის რესპუბლიკური სკოლა (ამ სკოლაში ვარჯიშობენ სპორტის ცხრა სახეობის წარმომადგენლები, მათ შორის — მოფარიკავეები). შარშან გაიხსნა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ ფარიკაობის სპორტული სკოლა; ფარიკაობის ჯგუფები მუშაობს ბათუმში, სოხუმში, რუსთავში, ზესტაფონში, წყალტუბოში, გაგრაში, ჭიათურაში.**

**ერთი სიტყვით, სპორტის ამ სახეობაში მომეცადინეთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება, მაგრამ რაოდენობრივ პროგრესს ხარისხობრივი წინსვლა არ მოჰყოლია. რატომ? სწორედ ამ თემაზე საუბრობს საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ფარიკაობაში მორის სახვაძე:**

— ჩვენს ხელთ არსებული „საფარიკაო მეურნეობა“, მწვრთნელთა და მომეცადინეთა კონტიგენტი სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ საქართველოს მოფარიკავეებმა შეინარჩუნონ ადრინდელი მიღწევები, წარმატებით გამოვიდნენ საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში. მასობრიობა თავისთავად ვერ უზრუნველყოფს თვისებრივ წინსვლას. მთავარია მუშაობის ხარისხი, სასწავლო-საწვრთნელო პროცესის დონე, საქმის ისე წარმართვა, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ არსებული შესაძლებლობანი. ერთ მაგალითს მოვიტან: საყოველთაოდ ცნობილია ბელორუსიის მოფარიკავეთა წარმატებები, მაგრამ ალბათ ბევრმა არ იცის, რომ იქ სპორტის ეს სახეობა მხოლოდ მინსკში და ამ რესპუბლიკის კიდევ ერთ-ორ ქალაქშია დანერგილი. სამაგიეროდ იქ შექმნილია ფარიკაობის ნამდვილი ცენტრები, მიმდინარეობს გეგმაზომიერი, სისტემატური მუშაობა ტალანტების გამოვლენა-დაოსტატებისთვის. ჩვენ ფარიკაობის ჯგუფები მოგვიმრავლდა, მასობრიობამაც იმატა, მაგრამ სასწავლო-საწვრთნელო პროცესის ორგანიზაციისა და ვარჯიშების დონე იგივე დარჩა. ახლახან საკავშირო სპორტკომიტეტის სპეციალურმა ბრიგადამ კომპლექსურად შეამოწმა სასწავლო-საწვრთნელო მუშაობა სპორტის ცალკეულ სახეობებში, მათ შორის ფარიკაობის ჯგუფებში. გამოვლინდა ბევრი ხარვეზი. საქმე ცუდად გვაქვს არა მარტო პერიფერიებში, არამედ ნაკრებ გუნდებშიც კი. ჩვენ ზრუნვას არ ვაკლებთ, რომ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ავიყვანოთ საწვრთნელო მეცადინეობის ხარისხი, ავამაღლოთ მწვრთნელთა კვალიფიკაცია, დისციპლინა და მომთხოვნელობა, შევქმნათ საქმიანი, შემოქმედებითი ატმოსფერო ადგილებზე. ამ საქმეში სასურველი შედეგის მისაღწევად თავისი სიტყვა უნდა თქვან სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა მესვეურებმა, იმ ქალაქების სპორტულმა ხელმძღვანელებმა, სადაც დანერგილია ფარიკაობა.

საქართველოს მოზრდილთა და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები ძირითადად თბილისელი და ქუთაისელი მოფარიკავეებით კომპლექტდება. რეზერვი უმეტესწილად განათლების სისტემის სპორტულ სკოლებში მზადდება, სპორტსაზოგადოებებს კი ამ საქმეში მეტად მცირე წვლილი შეაქვთ. ნიჭიერი ახალგაზრდები მოდიან ქუთაისიდან. ნიშანდობლივია, რომ შარშან გამართული ბავშვთა თითქმის ყველა რესპუბლიკური შეჯიბრება ქუთაისელმა მუშკეტერებმა მოიგეს. ქუთაისის სპორტულ სკოლას (დირექტორი თამაზ ოყროშიძე) აქვს საკუთარი სპორტული ბაზა, რომელიც მალე კიდევ უფრო გაფართოვდება. რამდენადმე გამოცოცხლდა მუშაობა ზესტაფონში, სადაც ადრე ფარიკაობა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობა იყო; ფარიკაობის ორი ჯგუფი გაიხსნა სპორტსაზოგადოება „დინამოშიც“, გამოიყო სპორტული დარბაზი.

ზემოთ მწვრთნელთა კვალიფიკაცია ვახსენე. ცხადია, მათს პროფესიონალიზმზე, პედაგოგიურ ოსტატობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ჩვენ გვყავს კარგი მწვრთნელები (მაგალითად, ბოლო წლებში ნაყოფიერად მუშაობენ თამაზ ძაგანიშვილი, გურამ ლორთქიფანიძე, მირიან კიკალიშვილი, ბახუს მათითაიშვილი, მალხაზ გაბუნია, გოდერძი მახარაძე...), მაგრამ ისეთებიც არიან, უპასუხისმგებლოდ, არაკეთილსინდისიერად რომ ეკიდებიან თავიანთ საქმეს. არადა, ფარიკაობა სპორტის სპეციფიკური სახეობაა. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მწვრთნელის როლი, „გარედან“ დარიგება და შენიშვნა საქმეს არ შველის: მწვრთნელი თავადაც საფარიკაო ბილიკზე „ტრიალებს“, ინდივიდუალურად ავარჯიშებს თითოეულ სპორტსმენს და გაცილებით მეტ ფიზიკურ დატვირთვას იღებს, ვიდრე მისი მოწაფეები.

... ჩვენ ვგრძნობთ, რომ ვალში ვართ გულშემატკივრებთან, ფარიკაობის ქართულ სკოლას გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვს და მეტიც მოგვეთხოვება. ისე კი საგანგაშო მდგომარეობა ნამდვილად არ არის. ამიტომ არ მესმის იმათი, ვინც ხელაღებით ამტკიცებს: საქართველოს მოფარიკავეებმა აშკარად დათმეს პოზიციები და ჩრდილში მოექცნენო... უკანასკნელი ათი წლის მანძილზე იუნიორებსა და ახალგაზრდებს შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს გია აბაშიძემ (სამჯერ), ვლადიმერ აფციაურმა (სამჯერ), გიორგი ჯილაურმა (ორჯერ), დავით თურქიამ (ორჯერ) და გიორგი გელაშვილმა. ამ სპორტსმენებმა, აგრეთვე გიორგი პაიჭაძემ, ვლადიმერ გოქაძემ და სხვებმა არაერთხელ დაიკავეს საპრიზო ადგილები საკავშირო ჩემპიონატებში, სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოების პირველობებზე; ვლადიმერ აფციაური 1982 წელს მეორე იყო საკავშირო ჩემპიონატში, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალიც მოიპოვა, პაიჭაძე მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონია გუნდურ ჩათვლაში... ახლახან ჭაბუკთა საკავშირო პირველობა მოიგო კახა მახარაძემ.

**● ახალგაზრდულ ტურნირებში გამარჯვება, რასაკვირველია, სასიხარულოა და იმედისმომცემი, ოღონდ სამწუხარო ის არის, რომ უფრო მაღალი რანგის შეჯიბრებებში პრიზიორთა შორის იშვიათად ვხვდებით გუშინდელ იუნიორებს, პერსპექტიულ სპორტსმენებად რომ ითვლებოდნენ. მსოფლიო ჩემპიონატზე ვლადიმერ აფციაურის წარმატება უდავოდ საგულისხმო და მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ფარიკაობისთვის, მაგრამ ექსტრა-კლასის მუშკეტერი, მოზარდთა ტურნირებში კანტიკუნტად მოპოვებული მედლები იმის უფლებას არ იძლევა, რომ გულარხეინად ვიყოთ და საქმე გაკეთებულად ჩავთვალოთ. საქართველოს ნაკრებს ერთი გამოკვეთილი ლიდერი კი ჰყავს, მაგრამ ამავე დროს აკლია მაღალი კლასის სპორტსმენები, გუნდის შემადგენლობა იმდენად არათანაბარია, რომ საკავშირო ჩემპიონატებზე, სპარტაკიადებზე სასურველ შედეგს ვერ აღწევს: 1975 წლამდე საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრები მუდამ მეოთხე-მეხუთე ადგილებზე იყო, შარშან კი ჩვენი გუნდი მერვეზე აღმოჩნდა. ახლა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადების შედეგებსაც გადავხედოთ: საქართველოს გუნდი ორჯერ მეოთხე ადგილზე იყო, ორჯერ — მეხუთეზე, 1969 წელს ჩემპიონიც გახდა, ბოლო სპარტაკიადაზე კი... მეათე ადგილზე დარჩა. ეს სტატისტიკა, ისევე როგორც ბოლო წლების მოზრდილთა საკავშირო ჩემპიონატების მაჩვენებლები, ფარიკაობის ქართული სკოლის სასარგებლოდ ნამდვილად არ მეტყველებს.**

— ფარიკაობაში გუნდური ადგილები ცალკეულ სახეობებში ნაჩვენებ შედეგთა ჯამით განისაზღვრება. ფარიკაობის ყველა სახეობაში იმდენი მაღალი კლასის ოსტატი არა გვყავს, რომ კონკურენცია გავუწიოთ რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის ძლიერ გუნდებს. ისიც სათქმელია, რომ ხშირად კომპლექსურ შეჯიბრებებში ქულათა უმნიშვნელო სხვაობით ვაგებთ უშუალო მეტოქეებთან. მაგალითად, საბჭოთა კავშირის ხალხთა ბოლო სპარტაკიადაზე მეშვიდე-მეექვსე ადგილებზე გასულ გუნდებს სულ რამდენიმე ქულით ჩამოვრჩით.

ზემოთ უკვე ვთქვი, რომ საქართველოს ნაკრები ძირითადად თბილისელი და ქუთაისელი მოფარიკავეებით კომპლექტდება. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა რეგიონებში [illegible] შეიქმნა ხელსაყრელი პირობები პერსპექტიულ მოზარდთა დაოსტატებისთვის, ყურადღების მიღმა გვრჩება რეზერვი. თუმცა, ერთიც უნდა აღვნიშნო: საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების კანდიდატებს შორის გამოჩნდნენ ზესტაფონისა და ბათუმის მოფარიკავეები.

**● როგორ ემზადება ჩვენი გუნდი მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის?**

— გუნდი წლის დასაწყისში შეიკრიბა, მანამდე ნაკრების კანდიდატები ადგილებზე, ინდივიდუალურად ემზადებოდნენ. წინა სპარტაკიადასთან შედარებით, შეიძლება ითქვას, უფრო სტაბილური, საიმედო ნაკრები გვყავს. მაღალ შედეგებს ველით ხმლით მოფარიკავეებისაგან. აქ ლიდერები არიან ძმები აკაკი და კახა მახარაძეები. ჩვენი ვარაუდით, კარგად უნდა გამოვიდნენ რუსუდან გალუაშვილი, ლელა ლეჟავა, ზაურ ტალახაძე და სხვები. უკვე მოეწყო რამდენიმე სასწავლო-საწვრთნელო შეკრება, ნაკრების კანდიდატებმა ძალა მოსინჯეს საკავშირო ტურნირებში. ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალს ამ ასაკის სპორტსმენთა დაოსტატებას, რადგან გაისად ჭაბუკთა პირველ საკავშირო თამაშებში თითქმის იმავე გუნდით მოგვიწევს ასპარეზობა.

**● მოზრდილთა საკავშირო ჩემპიონატზე რას იტყვით? ჩვენი რესპუბლიკიდან ვინ მიიღებს მონაწილეობას ამ შეჯიბრებაში?**

— ჩემპიონატი ივნისის ბოლო რიცხვებში გაიმართება ტალინში. აქ გამოვლენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები. ქართველ სპორტსმენთაგან ტალინში იასპარეზებენ ვლადიმერ აფციაური, გიორგი გელაშვილი, გიორგი პაიჭაძე, დავით თურქია, აკაკი მახარაძე, ზურაბ აფციაური... ამჟამად მათთან ერთად კიდევ რამდენიმე ქართველი მოფარიკავეა საკავშირო საწვრთნელ შეკრებებზე.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის ხალხთა მომავალ სპარტაკიადაზე, ახალი დებულების თანახმად, 1963 წელს და უფრო გვიან დაბადებული სპორტსმენები გამოვლენ, ამ ასაკობრივ ჯგუფში კი მაინცდამაინც სახარბიელო მდგომარეობა არა გვაქვს. ეს ხარვეზი სპარტაკიადამდე დარჩენილ დროში უნდა შევავსოთ.

რაკილა საშუალება მომეცა, ერთ საკითხზეც გავამახვილებ ყურადღებას: თბილისში ჩვენი ძირითადი საწვრთნელი ბაზა ვაკის ფარიკაობის დარბაზია. აქ რამდენიმე წელიწადია არ მუშაობს გათბობის სისტემა. ამ მიზეზით ზამთრის პერიოდში ხშირად ცდება ვარჯიშები, მწვრთნელებს ხელი ეშლებათ მუშაობაში (სხვათა შორის, ანალოგიური მდგომარეობაა ამ ტერიტორიაზე მდებარე სხვა სპორტულ ბაზებზეც). ამ პრობლემის მოგვარებისთვის აქედანვე უნდა ვიზრუნოთ, თორემ ზამთარი შეუმჩნევლად მოგვადგება კარს.

**საუბარი ჩაიწერა**
**ელგუჯა ბერიშვილმა.**

## როცა ასეთი ერთგულებაა

**კახა მახარაძე (ფარიკაობა, ხმალი). დაიბადა 1969 წლის 19 აპრილს თბილისში. სიმაღლე 170 სმ, წონა 60 კგ. სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკი“, მწვრთნელი გოდერძი მახარაძე. სწავლობს გლდანის სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატის IX კლასში. მოგებული აქვს თანატოლთა სამი რესპუბლიკური პირველობა, „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატი. წლეულს გაიმარჯვა ჭაბუკთა საკავშირო პირველობაში, შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.**

...პირველად ხუთი წლის წინ ჩაიცვა საფარიკაო კოსტიუმი. ერთხანს კალათბურთითაც იყო გატაცებული, მაგრამ როცა საბოლოო არჩევანის დრო დადგა, ყოყმანი არ დაუწყია, რა გასაკვირია, რომ გოდერძი მახარაძის ოჯახში ფარიკაობა ყველაზე მეტად დაფასებული სპორტია. მე ბევრს ვერაფერს მივაღწიე ფარიკაობაში და იქნებ ბიჭებმა გაამართლონ, ამბობს გოდერძი, რომელიც თავისი მემკვიდრეების სპორტული შედეგებით უკმაყოფილო არ უნდა იყოს: აკაკიმ (იგი კახაზე ორი წლით უფროსია) რამდენიმე საკავშირო შეჯიბრებაში გამოიჩინა თავი და ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრების კანდიდატი გახდა. თხუთმეტი წლის ყმაწვილის კვალობაზე არანაკლები წარმატებით ასპარეზობს კახა მახარაძე. წლეულს ქუთაისში მან საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა თანატოლთა შორის, ახლახან კი ჭაბუკთა საკავშირო პირველობა მოიგო.

„ხმლით ფარიკაობაში უძლიერესი იყო ფარიკაობის ქართული სკოლის წარმომადგენელი კ. მახარაძე, რომელმაც ფინალში სამი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა“ — წერდა „სოვეტსკი სპორტი“ ყაზანში გამართული შეჯიბრების შესახებ. ყაზანში საქართველოდან ოთხი ესპადრონისტი გაემგზავრა: კახა მახარაძესთან ერთად იყვნენ ნუგზარ ასათიანი (ოლიმპიური ჩემპიონის ნუგზარ ასათიანის ვაჟი), ლევან იოსებიძე და მალხაზ ადეიშვილი. ასათიანი ავად გახდა და სარბიელზე არ გამოსულა, ადეიშვილი წინასწარ ტურნირში გამოეთიშა შეჯიბრებას, მახარაძე და იოსებიძე კი წინ მიიწევდნენ.

...ხმლით მოფარიკავეთა ტურნირში სულ 80 მუშკეტერი მონაწილეობდა. შეჯიბრების პირველი დღის შემდეგ სარბიელს მხოლოდ რვა სპორტსმენი შემორჩა. მათ შორის ორი ქართველი მოფარიკავე იყო — მახარაძე და იოსებიძე. ისინი მეოთხედფინალშივე შეხვდნენ ერთმანეთს. ეს ორთაბრძოლა მახარაძემ მოიგო. შემდეგ მან კიდევ ერთი მეტოქე დაამარცხა და მთავარ ფინალში გავიდა. აქ ქართველ სპორტსმენს მოსკოველი სერგეი კარაიჩევი „უცდიდა“. გადამწყვეტი ორთაბრძოლის „პირველი ნახევარი“ მოსკოველის სასარგებლოდ წარიმართა; მეტოქეებმა ადგილები რომ შეიცვალეს, წინ კარაიჩევი იყო — 4:2. ამ კულმინაციურ მომენტში მახარაძემ დიდი ნებისყოფა და ტაქტიკური ალღო გამოავლინა და გაიმარჯვა — 8:5.

— კარაიჩევს პირველად შარშან შევხვდი და დავამარცხე, — გვეუბნება კახა მახარაძე, — ამ ჩემპიონატზე იგი უფრო ძლიერი ჩანდა. თავიდანვე ასეთ აქტიურ შემოტევას არ ველოდი. როცა ანგარიში გათანაბრდა, საბოლოოდ ვირწმუნე, რომ გავიმარჯვებდი.

...ორი დღის შემდეგ კახა მახარაძეს კიდევ ერთ შეჯიბრებაში მოუხდა გამოსვლა. ეს იყო გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი, რომელიც კიევში გაიმართა. აქ სხვებთან ერთად იასპარეზეს საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების წევრებმა. კახა მეხუთე ადგილზე დარჩა, მისმა ძმამ აკაკიმ კი ოქროს მედალი მოიპოვა.

ჭაბუკთა საკავშირო ტურნირები და ჩემპიონატები დამთავრდა, მაგრამ წინ არის სპორტული სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრება — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა. საქართველოს გუნდის ღირსებას სხვებთან ერთად ძმები მახარაძეებიც დაიცავენ.



**სურათზე: ჭაბუკთა 1984 წლის საკავშირო პირველობაში გამარჯვებული კახა მახარაძე.**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.





# ორნი გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე

**დიდ** წარმატებას მიაღწიეს ძიუდოისტთა ლენინგრადის საერთაშორისო ტურნირში (1965-67 წლებში დაბადებული სპორტსმენები) **გელა ბერუაშვილმა და ავთანდილ გუბელაძემ. ქართველმა მოჭიდავეებმა პირველი ადგილები დაისაკუთრეს.** შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 10 ქვეყნის—საფრანგეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ჰოლანდიის, პოლონეთის, სსრ კავშირისა და სხვათა წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ გარდა 78 კგ წონითი კატეგორიისა ყველაში გაიმარჯვეს საბჭოთა ძიუდოისტებმა.

გელა ბერუაშვილმა (95 კგ, მწვრთნელი ხვთისო წიკლაური, რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატი) 4 ორთაბრძოლიდან სამში წმინდად და ერთი „იუკოთი" მოიგო. ასევე დაუმარცხებლად განვლო ტურნირი ქუთაისელმა ავთანდილ გუბელაძემ (მძიმე წონა, მწვრთნელი ომარ მერაბიშვილი, „დინამო"). განსაკუთრებით აღსანიშნავია ბერუაშვილის წარმატება: იგი ხომ ფაქტიურად თავისზე ორი წლით უფროს მეტოქეებს ეჭიდავებოდა. სხვათა შორის, მის მიერ დამარცხებულთა შორის აღმოჩნდა ახალგაზრდებში სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონი კრასნოიარსკელი ს. ერიომენკო.

**მანანა მეტრეველი.**

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ავთანდილ გუბელაძე; მეტოქეს ბოჭავს გელა ბერუაშვილი.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

# სოჭის ტურნირის ფინიში

**სოჭში** დამთავრდა უძლიერეს მძლეოსანთა საკავშირო ასპარეზობა.

400 მეტრზე თარჯრბენში მოსკოვის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა, დონეცკელმა ვასილი არხიპენკომ 48,81 აჩვენა. ეს მეორე შედეგია საბჭოთა მძლეოსნობის ისტორიაში. ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ლუდმილა კონდრატიევამ და ვლადიმერ მურავიოვმა ყველას აჯობეს 100-მეტრიან დისტანციაზე შესაბამისად—11,1 და 10,23. 200 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა კიეველმა სერგეი სოკოლოვმა 20,88. მოსკოველმა ირინა პოდიალოვსკაიამ ყველაზე სწრაფად გაირბინა 800 მეტრი — 1.57,24.

მეტად დაძაბულად წარიმართა შეჯიბრება 1500 მეტრზე რბენაში. აქ გაიმარჯვა კრასნოიარსკელმა იგორ ლოტორიოვმა — 3.36,71. ხუთკილომეტრიან დისტანციაზე ყველას გაუსწრო მინსკელმა გენადი ფიშმანმა — 13.36,09. სამ კილომეტრზე მოასპარეზე ქალებში პირველი იყო ლენინგრადელი ნატალია არტიომოვა — 8.46,44. სიგრძეზე ხტომაში ყველას აჯობა კრასნოდარელმა როსკურიაკოვამ — 693 სმ. II ადგილზე გავიდა 17 წლის ნოვოკუზნეცკელი მოსწავლე ნატალია შევჩენკო — 688. ეს იუნიორთა საკავშირო რეკორდია. დნეპროპეტროვსკელმა ნიკოლაი მუსიენკომ სამხტომში 17,24 მ აჩვენა, ხოლო ირკუტსკელმა კონსტანტინე ვოლკოვმა ჭოკით 570 სმ სიმაღლე დაძლია.

ბირთვის მკვრელთა შეჯიბრებაში ცხრა მონაწილემ 20-მეტრიანი ზღვარი გადალახა. აქ ყველას აჯობა ლატვიელმა იანის ბოიარსმა — 21,67 მ. მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა, ვილნიუსელმა გალინა მურაშოვამ ბადრო 70,36 მეტრზე ტყორცნა.

წლევანდელ სეზონში მსოფლიოში პირველად მოხდა, რომ ერთ შეჯიბრებაში ორმა უროს მტყორცნელმა გადალახა 80 მეტრი — ლენინგრადელმა იგორ ნიკულინმა (80,62) და კიეველმა იური ტამმა (80,34).

# საბჭოთა ჭაბუკები— ნახევარფინალში

**გუშინ** ჭაბუკ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და მინსკის სტადიონებზე დამთავრდა შეჯიბრებები წინასწარ ჯგუფებში.

უკიდურესად დაძაბული იყო ბრძოლა „ც" ჯგუფში სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებს შორის. გამარჯვება, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს ნახევარფინალის საგზურს უნაღდებდა, თუმცა, საბჭოთა ფეხბურთელები ნახევარფინალში გადიოდნენ, მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაშიც. ჩვენმა გუნდმა საუკეთესოდ ითამაშა და სძლია ძლიერ მეტოქეს ანგარიშით 1:0. გოლი 43-ე წუთზე გაიტანა ბუბლიაუსკასმა.

ამ ჯგუფში ინგლისელებმა ანგარიშით 2:0 მოუგეს ლუქსემბურგის გუნდს.

ნახევარფინალში, რომელიც 1 ივნისს გაიმართება მოსკოვში, საბჭოთა ფეხბურთელები შეხვდებიან ირლანდიის ნაკრებს.

# საქართველოს პირველობა

## გათამაშების ცხრილი

**I ჯგუფი**

**მდგომარეობა 30 მაისისთვის**

**აღმოსავლეთი ზონა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შევარდენი" | 11 | 9 | 1 | 1 | 24-5 | 19 |
| „ავტომობ." | 11 | 9 | 0 | 2 | 24-9 | 18 |
| „მეტალურგი" | 11 | 7 | 2 | 2 | 21-9 | 16 |
| „მადნეული" | 11 | 6 | 4 | 1 | 17-10 | 16 |
| „კახეთი" | 11 | 7 | 1 | 3 | 13-6 | 15 |
| „ივერია" | 11 | 6 | 1 | 4 | 18-14 | 13 |
| „არმაზი" | 11 | 4 | 5 | 2 | 22-15 | 13 |
| „დურუჯი" | 12 | 4 | 4 | 4 | 7-11 | 12 |
| „სპარტაკი" | 12 | 4 | 3 | 5 | 21-19 | 11 |
| „იმედი" | 11 | 3 | 5 | 3 | 17-11 | 11 |
| ფიზკ. ინსტ. | 12 | 3 | 5 | 4 | 15-17 | 11 |
| „ჰერეთი" | 11 | 2 | 6 | 3 | 10-10 | 10 |
| „ალაზანი" | 11 | 4 | 1 | 6 | 11-19 | 9 |
| „არაგვი" | 12 | 3 | 3 | 6 | 13-17 | 9 |
| „თორი" | 12 | 0 | 4 | 8 | 7-26 | 4 |
| „სამგორი" | 11 | 1 | 1 | 9 | 6-33 | 3 |
| პოლ. ინსტ. | 11 | 0 | 2 | 9 | 11-26 | 2 |

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატზე II ჯგუფის გუნდებს შორის 26-27 მაისს გაიმართა X ტურის შეხვედრები.

**აღმოსავლეთი ზონა.** „აბული" (ახალქალაქი) — „განთიადი" (კასპი) 3:1, „ქიზიყი" (წნორი) — „თრიალეთი" (წალკა) 3:2, „იორი" (თიანეთი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 1:2, „ქართლი" (გორის რაიონი) — „მესხეთი" (ახალციხე) 1:1, „ჩიხურა" (საჩხერე) — „ზარზმა" (ადიგენი) 3:2, „ალგეთი" (მარნეული) — „გარეჯი" (საგარეჯო) 5:0, „ვარძია" (ასპინძა) „მშენებელი" (ჭიათურა) 1:1, „იბერია" (ქარელი) — „მაშავერა" (დმანისი) 0:1.

**დასავლეთი ზონა.** „ნარინჯი" (ნატანები) — „რაჭა" (ამბროლაური) 3:0, „თოლია" (ბათუმი) — „სენაკი" (ცხაკაია) 5:2, „ნარინჯი" (გონიო) — სუბტროპიკული ინსტიტუტი (სოხუმი) 3:2, „კოლმეურნე" (ტყიბული) — „ხვამლი" (ცაგერი) 2:0, „მუქურა" (ქობულეთი) — „ნაპერწკალი" (ოჩამჩირე) 4:1, „ოდიში" (ზედა ეწერი)—„კოლმეურნე" (გულრიფში) 3:0, „კოლხეთმშენი" (ფოთი) — „ნარუჯა" (მახარაძე) 3:1, „იმერეთი" (ქუთაისი) — „ავტომობილისტი" (აბაშა) 5:1.

13 მაისს გამოტოვებული შეხვედრა I ჯგუფის აღმოსავლეთ ზონაში თელავის „კახეთსა" და ცხინვალის „სპარტაკს" შორის დამთავრდა თელაველთა გამარჯვებით — 2:1.

## მსოფლიო ჩემპიონატი

**ფინეთის** ქალაქ პორიში გაიმართა 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში (ევროპის ზონის III ჯგუფი) ფინეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდებს შორის. შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა —1:0, ეს ერთადერთი ბურთი 54-ე წუთზე გაიტანა ველვეემ.

ამ ჯგუფში ფინეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთელთა გარდა გამოდიან რუმინეთის, ინგლისისა და თურქეთის გუნდებიც. მორიგი კალენდარული შესარჩევი მატჩი აქ გაიმართება 12 სექტემბერს: ჩრ. ირლანდია — რუმინეთი.

## „რომა" (იტალია) — „ლივერპული" (ინგლისი)

**დღეს,** როგორც ცნობილია, რომის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართება ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი ფეხბურთში. ევროპის საკლუბო ტურნირების ამ უმაღლესი რანგის გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი „რომა" და ინგლისის „ლივერპული".

ეს მატჩი, რა თქმა უნდა, საერთაშორისო საფეხბურთო წრეების ყურადღების ცენტრშია, მაგრამ იტალიის პოლიციას წმინდა სპორტული, პატრიოტული ქომაგობის გარდა სხვა საზრუნავიც თავზე საყრელი აქვს.

ეს საზრუნავი უბრალო რამ არ არის. მასპინძლებმა გარკვეული რაოდენობის ადგილები უნდა დაუთმონ ჩამოსულ გულშემატკივრებს. „ფორო იტალიკო" 66 ათას მაყურებელს იტევს. აქედან 17 ათასი უნდა გამოუყოს „ლივერპულის" გულშემატკივრებს, მაგრამ რას ნიშნავს ინგლისელ ფეხბურთის ქომაგთა „სტუმრობა", ეს ყველამ კარგად იცის. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს წააგებს ინგლისელთა გუნდი თუ მოიგებს. სულ ერთია — გამარჯვებით გახარებული ან წაგებით განაწყენებული ინგლისელი გულშემატკივრები ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე იწყებენ ხულიგნობას, შემდეგ—დემონსტრაციულად ხელს უშლიან თამაშის ნორმალურ მსვლელობას, ხოლო შეხვედრის დამთავრების მერე ამსხვრევენ ყველაფერს სტადიონზე, მის მახლობლად მდებარე რესტორნებში, სასტუმროებში, სავაჭროებში, წვავენ მანქანებს. რა ზომებს არ მიმართეს, რამდენი არ დააპატიმრეს, გაასამართლეს, და მიბეგვეს კიდეც, მაგრამ საშველი მაინც არ არის. ინგლისელ გულშემატკივართა აღვირახსნილი საქციელი მთელმა საფეხბურთო სამყარომ იცის.

ასე იყო სულ ახლახან, როცა ბრიუსელში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ანდერლეხტისა" და ლონდონის „ტოტენჰემის" ფეხბურთელები (უეფა-ს თასის პირველი ფინალური მატჩი). „ტოტენჰემის" ქომაგებმა დიდი ზარალი მიაყენეს ბრიუსელს, ერთიანად მილეწ-მოლეწეს იქაურობა, ბელგიის პოლიციამ 170 ხულიგანი ჩასვა ციხეში. მკვლელობაც კი მოხდა: იქაური რესტორნის მეპატრონემ პისტოლეტი დაახალა ერთ-ერთ ინგლისელს.

# საალყო მდგომარეობა რომში

ინგლისელ გულშემატკივართა ამ თავაშვებული ხულიგნობის გამო პრემიერ-მინისტრმა მ. ტეტჩერმა ბელგიის ხელისუფლებას ოფიციალური ბოდიში მოუხადა.

რომის პოლიციამ, რასაკვირველია, კარგად უწყის ეს ყველაფერი, ამიტომ მან საგანგებოდ მიიწვია დამხმარე ძალები იტალიის სხვა ქალაქებიდან. სიტუაცია მეტად კრიტიკულია: ჯერ ადგილობრივი „ტიფოზების" მოთოკვაა ძნელი, ახლა ჩამოსულები რას იზამენ? ამ ვითარებაში ცეცხლზე ნავთი დაასხა „ლივერპულის" 62 წლის მენაჯერმა ჯო ფაგანმა: „რომში მივემგზავრებით მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისთვის. ჩვენ ვერაფერი შეგვაჩერებს, „ლივერპულმა" აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს. ბოლო ოცდახუთი წელია ევროპაში არ ყოფილა „ლივერპულზე" სტაბილური გუნდი, ამას ჩვენ 30 მაისსაც დავამტკიცებთ რომში".

ასე რომ, დღეს „რომა" — „ლივერპულის" მატჩზე, იტალიის დედაქალაქში საგანგებო, თითქმის საალყო მდგომარეობაა გამოცხადებული.

## დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატი

**დიდი** ბრიტანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის დასკვნითი მატჩი შედგა გლაზგოში შოტლანდიისა და ინგლისის გუნდებს შორის. მე-13 წუთზე ანგარიში გახსნა შოტლანდიელმა მაკგიმ, ტაიმის დასასრულამდე საპასუხო ბურთი გაიტანა ვუდკოკმა — 1:1.

დიდი ბრიტანეთის ბოლო ჩემპიონატის დასკვნითი სატურნირო ცხრილი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მის მონაწილეთა ძალების თანაფარდობაზე. ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩრ. ირლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 3 |
| უელსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 3 |
| ინგლისი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 3 |
| შოტლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 3 |

## ინფორმაცია

### ლიდერობენ ტალი და რიბლი

**ბუგოინოს** (იუგოსლავია) დიდოსტატთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის IV ტურში ა. ბელიავსკი — ზ. რიბლი, მ. ტალი — ს. გლიგორიჩი, უ. ანდერსონი — ვ. კოვაჩევიჩი, ვ. სმისლოვი — ე. მაილსი და ბ. სპასკი — ლ. ლიუბოევიჩი ყაიმზე შეთანხმდნენ. გადაიდო ი. ტიმან — ბ. ივანოვიჩისა და ე. ტორე — ბ. ლარსენის პარტიები.

ოთხი ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ტალი (სსრ კავშირი), რიბლი (უნგრეთი) — 2,5-2,5 ქულა, მაილსი (ინგლისი) — 2 ქულა და ერთი გადადებული პარტია, სმისლოვი (სსრ კავშირი), გლიგორიჩი (იუგოსლავია) — 2-2.

გუშინ დიდოსტატები ამთავრებდნენ გადადებულ პარტიებს, დღეს, 30 მაისს მოეწყობა V ტურის შეხვედრები.

**რედაქტორი ა. გოგელია.**

**ლენინური** კომკავშირის სახელობის ცენტრალური სანწყლოსნო სპორტული კომპლექსის დირექცია აცხადებს ბავშვთა მიღებას ცურვის შემსწავლელ (დამატებით) ჯგუფებში.

მიიღებიან ბავშვები 6-დან 12 წლის ასაკამდე. სამედიცინო მოწმობები გაიცემა 30-31 მაისს. მეცადინეობა დაიწყება 4 ივნისიდან. ცნობებისთვის დარეკეთ: 99-80-19.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის. შ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 09774

ИНДЕКС 66435